პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 ■ გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ■ 1978

პარასკევი 29 სექტემბერი 1978 წ. № 229 (17273) ფასი 2 კაპ.

512.000 ტონა ყურძნისათვის!

ტემპი, მეოვნახეობრ!

დიდი ლაშქარი

„საბტრესტის“ ცნობით, ივ. ...ის (ტონობით)

რაიონები	1978 წლის გეგმა	27 სექტემბრის მიღებული	სულ მიღებული	შესრულება (%-ში)
გურჯაანის	88.000	6.250	59.897	18,7
თელავის	61.200	3.705	19.159	16,5
ყვარლის	38.000	2.293	16.748	16,3
სიღნაღის	34.000	2.096	15.853	18,1
ახმეტის	30.400	1.523	4.547	16,1
წითელწყაროს	25.100	988	13.800	19,0
საგარეჯოს	24.100	920	2.830	18,5
ლაგოდეხის	8.500	669	1.112	16,3
მარნეულის	19.000	774	7.609	14,6
ბოლნისის	11.480	800	4.909	16,2
გარდაბნის	10.500	200	1.676	13,3
ზესტაფონის	25.000	8	143	15,2
თერჯოლის	21.000	2	92	16,2
ჩოხატაურის	2.500	4	17	11,0
მახარაძის	500	2	7	11,0

- *27 სექტემბერს მოიკრიფა 20.236 ტონა ყურძენი.*
- *სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 148.399 ტონა.*

მოდის პარაქა გურჯაანელთა ზვრებიდან!

100-110 ათასი ტონა ყურძენი — სამშობლოს მარნებში!



მოდის და მოდის გურჯაანის რაიონის ზვრების პარაქა.

ამ სურათზე გურჯაანის მეურნეობის გულუხვი რთველია აღბეჭდილი, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ს. კილაძემ ამ დღეებში გადაიღო.

„კომუნისტის“ დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე დაბეჭდილი მასალები მკითხველს მოუთხრობს გურჯაანის რაიონის ზვინეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა თანამეგობრობაზე, იმაზე, თუ როგორ იბრძვიან ახალი სოციალისტური ვალდებულებების შესახსრულებლად.

შემოდგომის ცხარე დღეები

ახლა, ამ ღირსსახსოვარ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი დაძაბულად შრომობს ხუთწლედის მესამე წლის თვალსაჩინო მაჩვენებლებით დამთავრებისა და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ახალი შრომითი გმირობისათვის აღაფთო აზერბაიჯანის დედაქალაქისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ.

„ხაქმე ბევრი გვაქვს, მაგრამ, ალბათ, უფრო მეტი გვექნება. მიღწეული დიდია, მაგრამ არც ამოცანებია ცოტა“, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა ბაკოში გამოსვლისას.

ეს სიტყვები პირდაპირ ეხება ჩვენი რესპუბლიკის სადღეისო ვითარებას, იმ დიდ პასუხისმგებლობას, რასაც თითოეული ჩვენგანი გრძნობს პარტიის XXV ყრილობის გრანდიოზულ მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის.

შემოდგომის ამ დღეებში საქმე, განსაკუთრებით ნოემბერში, მოზღვავდა და რაც დრო გადის, მით უფრო მეტი და მეტია გასაკეთებელი.. ეს-ეს არის მიწყდა კომბაინების ხმაური კახეთისა და ქართლის ბარაქიან მინდვრებში, მზესუმზირას აღებაც მალე დამთავრდება, უკვე იღებენ ხიმინდს, საგვიანო კარტოფილს, მალე დაიწყება შაქრის ჭარხლის აღება.

ახლა, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, მთავარია სწორად გავანაწილოთ ძალები, მარჯვედ გამოვიყენოთ ტექნიკა და სხვა რესურსები, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თითოეული მოხავლის ახალები ბერეგატი, ავტომანქანა, ტრაქტორი, თითოეული დამამზადებელი პუნქტი, გადამამუშავებელი საწარმო მთელი დღე-ღამე და უმაღლესი ეფექტიანობით მუშაობდეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ეს დებულებები, მითითებები და რჩევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებლად პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანოების, ყველა მშრომელის სამოქმედო პროგრამა უნდა გახდეს. ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როცა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს წლის ამ დამამთავრებელ ეტაპზე დიდი ხიხნელების გადალახვა უწევთ.

მიუხედავად უამინდობისა, ყოველდღე მინდვრებიდან, ბაღ-ვენახებიდან, პლანტაციებიდან და ფერმებიდან ახალ-ახალი შრომითი წარმატებების ამბები მოდის. გაგვახარეს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, მახარაძის, ლანჩხუთის, ხობის, ჩხოროწყუს რაიონების, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის ზონებისა და სხვა რაიონების მეჩაიეებმა. მათ ვადაზე ადრე უპატაკეს ხამშობლოს ხახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვის ვალდებულების შესრულება.

თავთავიანების უხვი მოსავალი მოიწიეს და მარცვლეულის დამზადების გეგმა-ვალდებულებები ასობით ტონის გადამეტებით გაანაღდეს წითელწყაროელმა, ახალციხელმა, საგარეჯოელმა, მცხეთელმა, გარდაბნელმა და მარნეულელმა მემინდვრეებმა.

მთელი წლის მანძილზე გაწეული დიდი შრომის ნაყოფად ყურძნის არნახული მოსავალს იწევენ კახეთის რაიონების მევენახეები. ბევრი მეურნეობა თითოეულ ჰექტარზე 100-120 ცენტნერ ყურძენს კრეფს.

რესპუბლიკაში დიდი რთველი ორგანიზებულად დაიწყო, მაგრამ მოხალოდნელი უამინდობა მოითხოვს კიდევ უფრო დაჩქარდეს ყურძნის კრეფის ტემპი, რაც თავიდან აგვაცილებს დიდ დანაკარგებს. მერთველებმა უნდა იზრუნონ ტექნიკის ხრული დატვირთვით გამოყენებისა და მოსავლის ახალები კონვეიერის შეუფერხებელი მუშაობისათვის, ამ რგოლში შრომისა და ხახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ხაჭიროა კიდევ უფრო გააქტიურდეს მოსახლეობაში მახობრივი ახხნა-განმარტებითი მუშაობა, ფართოდ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება ხახოფლო ხაბჭოებს, ცალკეულ მეევნახეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს შორის ხაკარმიდამო ნაკვეთებიდან ყურძნის მაქსიმალური რაოდენობით დამზადებისათვის.

რთველი უმნიშვნელოვანესი დამკვრელური ფრონტია. ამასთან ერთად სოფლის მშრომელებმა მზრუნველობა არ უნდა მოაკლონ მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის, ჭარხლის, მზესუმზირას, კარტოფილის და სხვა კულტურების მოხავლის მოკლე ვადაში და უდანაკარგოდ აღებას, გაეხის მოხავლისათვის ხაფუძვლის ჩაყრის ხაქმეს.

ახე იქცევიან, მაგალითად, გორის რაიონის ტყვიავის და ახალქალაქის რაიონის ბურნაშუთის კოლმეურნეობების კოლექტივები, ხადაც მიწათმოქმედების და მეცხოველეობის მაღალი კულტურისათვის ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას ხათავეში კომუნისტები უდგანან და დიდი ყურადღება ეთმობა შრომის მოწინავე გამოცდილებას. აქ კულტურათა და დარგების მიხედვით ხახელმწიფო გეგმა-დავალებების განაღდებით მტკიცე ხაფუძველს ქმნიან იმ გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც სოფლის მეურნეობის დარგში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა დასახა.

ხამწუხაროდ, ვხედებით ისეთ ფაქტებსაც, როცა მოელ რიგ რაიონებში მეტისმეტად ჭიანურდება ალეობა და ხვნა-თესვა, რის გამოც, რომ ალაგიერი ვთქვათ პროდუქციის დიდ დანაკარგებზე, მომავალი წლის მოხავლის ბედიც ხაფრთხეშია. მაგალითად, წალკის, ბოგდანოვკის, ადიგენის, ახპინძის, ბორჯომის, ახალქალაქის, თიანეთის რაიონებსა და ხამხრეთ ოსეთში ჯერაც არ დაუმთავრებიათ მარცვლოვანი და ხამარცვლი პარკოსანი კულტურების მოხავლის აღება. ახალციხის რაიონში, ხადაც ხაშემოდგომო თავთავიანები 1.900 ჰექტარზე უნდა დაითესოს, მოხნულია მხოლოდ 1.170 ჰექტარი, ახპინძაში 1.100 ჰექტარიდან მოხნულია 827 ჰექტარი. ხაშურში — 4.000 ჰექტარიდან 2.881 ჰექტარი. ხვნაში ჩამორჩებიან აგრეთვე კახპის, საგარეჯოს, სიღნაღის, წითელწყაროს რაიონები, სადაც ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ ნიადაგის დროული ხვნა აუმჯობესებს მის ნაყოფიერებას, ხელს უწყობს სარეველების მოსპობას. აქ ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ტექნიკის მცირე მწარმოებლობა, არაორგანიზებული მუშაობაა.

უფრო საგანგაშო მდგომარეობაა საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესლის მომარაგების ხაქმეში.

ქარელის, თელავის, ყვარლის, ბოლნისის რაიონების, ჭიათურის და წყალტუბოს ზონების, ხამხრეთ ოსეთის მეურნეობებს ხაკმაო რაოდენობის თესლი არ მოუმარაგებიათ, თესვა კი აქ უკვე დაიწყო. დაბალი ხათესი ღირსების თესლი აქვთ თეთრ წყაროში, თიანეთსა და სხვა რაიონებში. ამ რაიონების მეურნეობათა ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს უნდა შეეგახსენოთ, რომ ასეთი თესლით მაღალ მოსავალს ვერ მიიღებენ.

მოხავლის უდანაკარგოდ დაბინავების მთავარი ფაქტორია მუშაობის ძლიერი ტემპი. ზოგჯერ ერთი-ორი დღით დაგვიანებაც კმარა იმისათვის, რომ ნაკაფ-ნამაგარი დოვლათი ხელიდან გამოგვეცალოს. ამაზე რატომღაც არ ფიქრობენ წულუკიძელი, ლენტეხელი და სხვა რაიონების ხაკვებმომპოვებლები, რომლებსაც სექტემბრის მეხამე კვირაში არც ერთი ტონა თივა არ დაუმზადებიათ.

ახეთი მუშაობა ყოვლად შეუწყნარებელია და მით უმეტეს მიმდინარე ძნელ, რთულ ხასოფლო-სამეურნეო წელს, უამინდობის პირობებში, როცა მეტი შეუპოვარი და ბეჯითი შრომა. მაქსიმალური შემართვა და მობილურობა გვმართებს ხაკვების, თამბაქოს, ხილის, ბოსტნეულის დამზადების გეგმების შესახრულებლად.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ, რომ ყველა მეურნეობას ჰქონდეს და განუხრელად ახორციელებდეს მოხავლის აღების გეგმა-გრაფიკებს, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება თითოეული კულტურის შემოსვლის ვადები, ტრანსპორტია და მუშახელის რეხურსები.

დიდი, მეტად რთული ამოცანები აქვთ გადახწყვეტი საკვებმომპოვებლებს, მეხილეებს, მებოსტნეებს, მეთამბაქოეებს. თითოეულ ამ დარგში ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამოგრჩებით შარშანდელი შეხაბამისი პერიოდის დონეს.

მინდვრად მუშაობს ხელსაყრელი დღეები კი ღლითი დღე კლებულობს. ამიტომ ახლა, როგორც არასოდეს, დაოცხრომლად უნდა ვიბრძოლოთ თითოეული კილოგრამი პროდუქტის გადარჩენისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თითოეულ ნაკვეთს და თითოეულ მეურნეობაში უზუსტესი გრაფიკებით მუშაობას. ტექნიკას, შრომითი და სხვა რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას.

მოხავლის აღების ტემპი გადაჭრით უნდა დაჩქარონ სამტრედიის, თერჯოლის, წულუკიძის, საგარეჯოს, ხაშურის, ახმეტის, მცხეთის, კახეთის, ლანჩხუთის, თეთრი წყაროს რაიონების, წყალტუბოს ზონის, ხამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, აჭარის მებოსტნეებმა, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ გეგმების შესრულებაში.

ძალების განსაკუთრებული მობილიზება, ყველა რეზერვის გამოყენებისათვის ზურნავა მართებთ წალენჯიხის, ჩოხატაურის, ვანის, ორჯონიკიძის, ჭავის, ცაგერის, ადიგენის, ახალქალაქის და სხვა რაიონების ხაკვებმომპოვებლებს. რომლებიც შარშანდელ მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან.

ხაკვებმომპოვებლებმა ხელიდან არ უნდა გაუშვან ისეთი რეზერვები, როგორიც არის ნაწვერალზე ნათესი სიმინდი, ჭარხლისა და კარტოფილის ფოჩი, ნაჭა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ფერმაში მოქმედებდეს ხაკვებშემამზადებელი ხაამქრო.

გაუმართლებელია ზოგან შემჩნეული ტენდენცია, რომ სახილოსე სიმინდის კარგი ნათესები სხვა დანიშნულებით გამოიყენონ. ახეთი გადაწყვეტილების მომხრეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ პირუტყვის ხაკვები იგივე ხორცი და რძეა.

ეფექტიანობისა და ხარისხისათვის — პარტიის ეს ხტრატეგიული ლოზუნგი დღეს სოფლის მშრომელთა ხაბრძოლო ლოზუნგად უნდა იქცეს. პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართო აქტივზე დაყრდნობით უნდა მიაღწიონ, რომ მოსავლის ბედით დაინტერესებული სხვადასხვა ხამეურნეო როგოლები შეწყობილად მუშაობდნენ. ერთობლივად იბრძოდნენ მოსავლის აღების ხაბოლოო შედეგებისათვის.

ამ მხრივ მხარდაჭერას იმსახურებს ჯურჯაანელი მევენახეთა ინიციატივა, რომლებმაც ითამოელეთა მაგალითისამებრ თითოეული ჰექტარიდან ყურძნის და ღვინის უმაღლესი გამოხავლიანობის მიხაღწევად ღვინის მრეწველობის მუშაკებთან შრომითი თანამეგობრობა დაამყარეს და გაშალეს სოციალისტური შეჯიბრები.

ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სოფლის მშრომელებისგან მოითხოვს შეურიგებელნი იყვნენ ხალხისა და ხახელმწიფოს მოტყუების ყოველგვარი ცდის, მანქანების მოცდენის, მოხავლის დანაკარგებისა თუ გაფუჭების თითოეული შემთხვევის მიმართ. ახეთი დარღვევებზე მეურნეობათა ხელმძღვანელებმა სწორაფად უნდა გააკეთონ ხათანადო დასკვნები და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დამნაშავეთა მიმართ ოპერატიულად მიიღონ ხაჭირო ზომები. ყველა უნდა ზრუნავდეს, რომ სოფლად არ იყოს არც ერთი ჩამორჩენილი განყოფილება, ბრიგადა, რგოლი, მშრომელი.

პარტიულმა კომიტეტებმა, ხაბჭოთა და ხასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მკვეთრად უნდა გააძლიერონ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა იმისათვის, რომ დროულად, ხარისხიანად შეხრულდეს ხაშემოდგომო სამუშაოთა მთელი კომპლექსი, რათა წარმატებით გავანაღდოთ ხუთწლედის მესამე, დამკვრელური წლის გეგმა-ვალდებულებები.

რესპუბლიკის მიწათმოქმედებმა და მეცხოველეებმა თავდადებული შრომით კიდევ ერთხელ უნდა დაამტკიცონ, რომ რთულ ვითარებაშიც კი შეიძლება გამარჯვების მოპოვება. დახახული მაღალი მიჯნების დაძლევა შეიძლება და უნდა შეეძლოთ კიდეც. ახეთია ხადღეისო ამოცანა.

ხსრ კავშირის კონსტიტუციის დღის შესახვედრად

აფხაზეთისა და აჭარის მეჩაიეთა დიდი გამარჯვება

სოხუმი, 28 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). აფხაზეთის ჩაის პლანტაციის მშრომელებმა, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს ახორციელებენ, ვადამდე შეასრულეს ხუთწლედის მესამე წლისათვის ნაკისრი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დაზზადების სოციალისტური ვალდებულებანი — ქვეყნისა მისცეს 79.070 ტონა ჩაი.

27 სექტემბერს აფხაზეთის ჩაის ფაბრიკებმა დასასრული მიჯნის ანგარიშში მიიღეს ფოთლის უკანასკნელი პარტია.

ამ მიღწევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორებმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12.770 ტონისა, მექანიზებული წესით მოკრეფილია 12.785 ტონა ჩაის ფოთოლი. თავი გამოიჩინეს გალისა და გულრიფშის რაიონების ჩაის საკრეფი მანქანების მძღოლებმა.

აფხაზეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ სსრ კავშირის კონსტიტუციის პირველ წლისთავს. მათ გადაწყვიტეს ვალდებულების დამატებით მოკრიფონ კიდევ 1.000 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ბათუმი. 28 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). აჭარის ასს რესპუბლიკის მეჩაიეებმა სამშობლოს უპატაკეს 57.463 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეულის დამზადება, რაც 63 ტონით აღემატება ვალდებულებას.

წლევანდელი ჩაის კრეფა, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ, — ამინდის უაღრესად არასელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა, რამაც შეაფერხა ჩაის პირველი და მეორე ვეგეტაცია. მაგრამ აჭარელმა კომუნისტებმა, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ დიდი ჩაისათვის ლაშქრობას, და ჩაის მეურნეობების ყველა მშრომელმა, ამინდის ჭირვეულობის მიუხედავად, მიიღეს ხარისხოვანი ფოთლის რეკორდული მოსავალი.

წელს კარგად იმუშავეს მექანიზატორებმა. მათ მოკრიფეს 8.151 ტონა ჩაის ფოთოლი, აქედან 5.812 ტონა ხელის აპარატებით და 2.339 ტონა მანქანა „საქართველოთი“, რითაც დადასტურეს, რომ აჭარაში მთაგორიანი რელიეფის მიუხედავად ფართოდ შეიძლება დაინერგოს კომპლექსური მექანიზაცია ჩაის კრეფაში, სავსებით შესაძლებელია მოსავლის აღების სამუშაოთა სამრეწველო ხაფუძველზე გადაყვანა.

აჭარის პლანტაციებში ვრძელდება ჩაის კრეფა.

საქართველოს ქიმიური მრეწველობა: ახალი ამოცანები

საქართველოში რამდენიმე დღეს ამყოფებოდა სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრი ლ. ა. კოსტანდოვი. ამხ. კოსტანდოვი იყო რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის საწარმოებში, აღნიშნა დარგის განვითარებაში მიღწეული გარკვეული დადებითი ძვრები, თქვა, რომ ქიმიურ საწარმოთა კოლექტივებმა წინაწარ დგას ახალი დიდი ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის შრომებსა და გამოსვლებში მოცემული დებულებებიდან და დასკვნებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა სობჭოს დადგენილებებიდან სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ. ეს ამოცანები თვალსაჩინოებენ მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოს, სოფლისტყეობრივი ქიმიის ნაწარმისა და სხვა პროდუქციის წარმოების გაძლიერებულ ზრდას.

რუსთავში ამხ. კოსტანდოვი ეწვია ქიმიური ბოჭკოსა და ქიმიურ ქარხანას.

ქიმიურ ქარხანაში თვე გაეცნო მოქმედი საამქროების მუშაობას, ნახა საწარმოს პროდუქცია, დაწვრილებით გამოიკითხა, თუ როგორ მიმდინარეობს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ამიაკის, აზოტმჟავის, ამონიუმის გვარჯილის, კაპროლაქტამის, ელექტროლიზური მანგანუმის ორგანგისა და კალიუმბიქრომანგანატის წარმოების ახალ ობიექტებში. ამხ. კოსტანდოვმა აღნიშნა, რომ ამ სამეცნიერო პრობლემათა ამოქმედება შესაძლებლობას მოგვცემს უკვე 1981 წელს გეგეზარდოთ მთლიანი პროდუქციის წარმოება 1977 წელთან შედარებით 22,3 პროცენტით, ხოლო მინერალური სასუქის წარმოება — 56,8 პროცენტით, რაც გარკვეულ წვლილს შემატებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

ამხ. კოსტანდოვმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ფაბრიკა ბოჭკოსდეს პროდუქციის ხარისხი, გულდასმით შეისწავლონ საქართველოს მეწვენის სპეციფიკა და ამ საფუძველზე ითვისონ ახალი ხახეობათა მინერალური სასუქის გამოშვება. მან აღნიშნა, რომ თუმცა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ქარხანაში გამოშვებულ ხუთი სახეობის პროდუქციას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა, სასტანდარტო ხუთკუთხედანი პროდუქციის წარმოების ხვედრითი წონა საერთო მოცულობაში უმნიშვნელოა და საშუალო—რესპუბლიკურ მაჩვენებელს ჩამორჩება.

ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში ყოფნისას ამხ. კოსტანდოვმა აღნიშნა მისი უყოფა ძირითადი და დამუშავრე საამქროს ტექნიკური გადახლების დიდი მნიშვნელობა, თქვა, რომ მომწიფდა საჭიროება ითვისონ პოლიპროპილენის ძნსაკრავი ჩალინის წარმოება და გაზარდონ ფირფიტა მოხმარების საქონლის გამომვლა.

ამხ. კოსტანდოვი ესაუბრა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, გამოიკითხა მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, გაეცნო იმ წარმოების მოწინავეთა მუშაობის მეთოდებს, რომლებიც 1982-1983 წლების ანგარიშში შრომობენ, ურჩია ადგილობრივ პარტიულ, პროფკავშირულ, სამეურნეო ხელმძღვანელებს გადაეჭრათონ მათი გამოცდილება ფირფიტა მასების კუთვნილებად.

თბილისში ამხ. კოსტანდოვი ეწია საწარმოო გაერთიანებებში „საქსამოთოქმბრეწვასა“ და „საქყოფოქიმში“. მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში კიდევ უფრო სწრაფად უნდა განვითარდეს სამთოქიმიური მრეწველობა და საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონლის წარმოება. დიდი ყურადღება დაეთმო ბუნებრივი ცეოლიტების წარმოების განვითარებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ გარემოს დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში.

ამხ. კოსტანდოვი შეხვდა და ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორეს მდივანს ვ. ა. ჩხეიძეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებსა და რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა მუშაკებს.

რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის საწარმოთა დათვალიერებისას ამხ. კოსტანდოვმა ახლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. ჩხეიძე. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიაში

ავამაღლოთ სოფლად შეჯიბრების ეფექტიანობა

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის სხდომა. სხდომაზე განიხილეს გორის რაიონის სოფელ ტყვიავის კოლმეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გამოცდილება. ინფორმაცია გააკეთეს საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. კოზმანაშვილმა და სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა ზ. დალმა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ტყვიავლის სახელობის კოლმეურნეობაში შეძენილია სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის დადებითი გამოცდილება. რაც ხელს უწყობს მაღალი შედეგების მიღწევას მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში. მეცხრე ხუთწლედში აქ წარმოებულია 3 მილიონ 348 ათასი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, კოლმეურნეობის წმინდა შემოსავალმა შეადგინა 756 ათასი მანეთი, რენტაბელობის დონემ მიაღწია 31 პროცენტს. წარმატებით სრულდება დაავალებები და ვალდებულებები მეათე ხუთწლედის დამდეგიდანაც. 1977 წელს აქ აწარმოეს 2,5 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სოფლის მეურნეობის პროდუქცია, მაშინ როდესაც გეგმა მილიონ 400 ათას მანეთს შეადგენდა. კაცდღის ანაზღაურება 6 მანეთიდან და 27 კაპიკიდან 8 მანეთამდე გაიზარდა.

1978 წელს ყოველ ჰექტარზე მიღებულია: 125 ცენტნერი ხელა, 55 ცენტნერი მარცვლეული, 200 ცენტნერი ხახეი. სოფლიოფე ძროხის წველადობამ 1976 წელს შეადგინა საშუალოდ 2.987 კილოგრამი და 1977 წელს — 3.235 კილოგრამი. ისისათვის, რომ კოლმეურნეობამ საუკეთესო შედეგებს მიაღწიოს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის გაჩაღებულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებით გაანაღდა 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა, იგი დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა სობჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ სოფელ ტყვიავის კოლმეურნეობამ, რომელმაც ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობასა და თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანასთან ერთად რესპუბლიკაში პირველმა მიაღწია თითოეულ მშრომელ, ყველა შრომითს კოლექტივს ჩვენს ცხოვრებაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საბრძოველად, ასეთ დიდ წარმატებებს მიაღწია დისციპლინის განმტკიცების, დაკისრებული საქმისათვის კოლმეურნეთა პასუხისმგებლობის ამაღლების, შრომითი მეტოქეობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის გზით. კოლმეურნეობაში გაჩაღდა მძლრაობა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მაღალი კულტურისათვის. ქმედითი ფორმა გახდა ინდივიდუალური შეჯიბრება „საუკეთესო მწველადის“, „საუკეთესო მწყემსის“ სატიტო წოდების მოსაპოვებლად. კარგად არის მოწყობილი შეჯიბრება მექანიზატორებს შორის. წამყვანი პროფესიების კოლმეურნეთა ოსტატობის ტრადიციული კონკურსები ეხმარება მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას, ხელს უწყობს შრომისმოყვარეობის, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობის პროფესიულ დაოსტატებას.

კოლმეურნეობაში მარჯვედ იყენებენ მორალური და მატერიალური სტიმულირების მრავალფეროვან ფორმებს. მეცხოველეების, მიწათმოქმედების, კომბაინერებისა და ავტომანქანის მძღოლებისათვის შეუფუძავებელია შრომის დამატებითი ანაზღაურების სპეციალური პირობები. შეჯიბრების ეფექტანობას ხელს უწყობს აგრეთვე მუშაობის შედეგების დროული შეჯამება. საწარმოო ბრიგადებში და მექანიზატორებს შორის შედეგებს აჯამებენ ყოველკვარტალურად, მეცხოველეებს შორის — ყოველთვიურად, ხოლო თავთავიანთა მოსავლის აღების დროს — ყოველდღიურად.

იმის შედეგად, რომ კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის აღდგილობრივი კომისია ახორციელებენ ღონისძიებებს რუსთაველთა პატრიოტული ინიციატივის მხარდასაჭერად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის, კოლმეურნეობაში არ არის არც ერთი ჩამორჩენილი ბრიგადა, თითქმის მთლიანად ამოიფხვრა შრომის დისციპლინის დარღვევები.

მაღალი მაჩვენებლების მიღწევას დიდად შეუწყო ხელი ტყვიავლელთა შრომითმა მეტოქეობამ გორის რაიონის სოფელ ფლავის შრომის წითელი დროშის ორდენოსან, სოფელ მერეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებთან და მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის გზასთან“. ისინი ერთმანეთს უხიარებენ მოწინავე გამოცდილებას, სახაენ სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი სრულყოფის გზებს.

სხდომაზე აღინიშნა, რომ კოლმეურნეობის მიერ მიღწეულ წარმატებებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პარტიის გორის რაიკომისა და სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რაიონული კომისიის პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობა, რომლებიც ბევრს იღვწიან რაიონში წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის. ისეთი კოლექტივები, როგორიც არის ოქტომბერის, ძეგვრის, კიცხის საბჭოთა მეურნეობები, სოფელ ფლავის კოლმეურნეობა, შეჯიბრების ავანგარდში ძრიან. რაიონის მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

აღინიშნა, რომ როგორც კოლმეურნეობაში, ისე რაიონში, უპირველესი ყურადღება უნდა ეთმობოდეს თვალსაჩინო აგიტაციის გაუმჯობესებას, ადგილობრივ და რაიონულ პრესაში შეჯიბრების მასალების გამუქებას, მოწინავე თაოსნობათა გავრცელებისათვის მიმდინარე მუშაობის სრულყოფას, კომუნისტური შრომის სკოლების საქმიანობის გაძლიერებას და სხვა საკითხებს.

რესპუბლიკურმა კომისიამ მოიწონა შრომითი მეტოქეობის ორგანიზაციაში სოფელ ტყვიავის კოლმეურნეობის მიერ შეძენილი დადებითი გამოცდილება და ურჩია პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს გადაჭრით გაუმჯობესონ სოფლად შეჯიბრების მეთოდებისა და ფორმების სრულყოფისათვის მუშაობა, გამოიყენონ ამ საქმეში დადებითი გამოცდილება, რომელიც რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონშია შეძენილი.

სხდომაზე გამოვიდნენ

რთველი — 78

მოდის ბარაქა გურჯაანელთა ზვრებიდან!

რაიონის მევენახეები ვარაუდობენ: 88.000 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდონ 100 — 110 ათასი ტონა ყურძენი

512.000 ტონა ყურძნისათვის!

მევენახეთა სოციალისტური შეჯიბრება

ყურძენი — სახელმწიფოს მარანში

რაიონში ყურძნის დამზადება 28 სექტემბრისათვის (ტონობით)

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები	გეგმა	შესრულება	საკარმიდამო ვენახებიდან	შესრულება
შაშიანის	3.150	1.429	1.800	1.098
ვაზისუბნის	6.300	3.595	2.200	836
ველისციხის	4.300	4.265	3.800	4.031
ჩუმლაკის	5.850	4.099	1.880	1.027
ბანლრის	3.300	2.667	1.700	1.890
ჩალაუბნის	920	335	50	7
მელაანის	840	430	100	—
არაშენდის	1.950	383	130	1
კაპრეთის	2.390	1.562	400	11
შრომის	3.950	2.945	1.360	317
კალაურის	3.610	2.855	1.500	847
მუკუზნის	4.500	3.296	—	—
ხ. გურჯაანის	7.500	4.229	2.660	2.489
კარდანახის	3.640	3.199	3.730	1.077
ვეჯინის	3.400	3.501	1.820	505
კოლაგის	600	682	—	—
ბაკურციხის	1.000	2.000	2.000	467
ჯიმითის	800	384	220	—
ახაშენის	—	—	2.650	978
ქ. გურჯაანის	—	—	2.000	2.549

- **სულ რაიონში მოჯრეფილია 59.897 ტონას.**
- **აქედან საზოგადოებრივ მეურნეობებში — 41.760 ტონა.**
- **საკარმიდამო ზვრებში — 18.137 ტ.**
- **გუშინწინ, ერთ დღეს მოიკრიფა 6.250 ტონა.**
- **შაქრიანობა 18,7 პროცენტია.**

იამპოლელთა მაგალითის ძალა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გრანდიოზული პროგრამა დაუსახა საბჭოთა ხალხს. ამ დიდ მიზნდასახულობათა განხორციელების ათვის ბრძოლის ნაკადი მეათდაა სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრების სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს იყენებენ საქართველოს შრომელები და ამ ბოლო წლებში დიდ წარმატებებსაც აღწევენ. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ცუნი წელიწადია რესპუბლიკა ზედიზედ დაჯილდოვდა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშებით.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის დიდ მუშაობას ეწევიან სოფლის მშრომელები. სოციალისტური შეჯიბრების აავნგარდნი ხარან გურჯაანის რაიონის მევენახეები, რომლებმაც ჯერ კიდევ შარშან ხარეკორდო მოსავალი — 81 ათასი ტონა ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს.

მიღწეულზე შეჩერება არა სჩვეოდა გურჯაანელ კომუნისტებს, მევენახეებს. გურჯაანელებმა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებების და „სამტრესტის" რაიონული გაერთიანების მუშაკთა კრებაზე სექტემბრის დასაწყისში გულდასმით განიხილეს ვინიციის ოლქის იამპოლის რაიონის მეჭარხლეთა და შაქრის ქარხნის მუშაკთა ინიციატივა შრომითი თანამეგობრობის განვითარების შესახებ. მათ მხურვალედ მოიწონეს იამპოლელთა თაოსნობა და ვალდებულება იკისრეს რთველი შემჭიდროებულ ვადებში დამთავრონ და მაღალხარისხოვანი ყურძენისაგან სანაქებო ქართული ღვინოები დააყენონ. ეფექრობთ, მეზვრეთა და მემარნეთა თანამეგობრობა დიდ ნაყოფს გამოიღებს.

პარტიის გურჯაანის რაიკომმა და სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა რთველის ორგანიზებულად, შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ დამთავრებისათვის მთელი რიგი წამახალისებელი ღონისძიებები შეიმუშავეს, მოწინავე საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის, განყოფილებების, ბრიგადებისა და მევენახეებისათვის დაწესებულია გარდამავალი დროშები და ვიმპელები, სპპატიო სიგელები, ფულადი ჯილდოები. გარდა ამისა, იმ სოფელში, რომელიც საზოგადოებრივი მეურნეობიდან და საკარმიდამო ვენახებიდან 10.000 ტონაზე მეტ ყურძენს დაამზადებს, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის სახსრებითა და საშუალებებით სოფლის ერთი კილომეტრის ქუჩა მოასფალტდება, შესრულდება სხვა კეთილმოწყობის სამუშაოები, ხოლო საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები, პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები, პროფკავშირის აღგილკომის თავმჯდომარეები, სპეციალისტები, განყოფილებათა გამგეები, ბრიგადირები, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეები თითო თვის ხელფასით დაჯილდოვდებიან.

სოფლის კეთილმოწყობის სხვადასხვა სახისა და ზომის წამახალისებელი ღონისძიებებია დაწესებული იმ საზოგადოებრივი მეურნეობისა და სოფლებისათვის, რომლებიც 6-დან 10 ათას ტონამდე, 3-დან 5 ათას ტონამდე, 1 ათასიდან 3 ათას ტონამდე ყურძენს მიჰყიდიან სახელმწიფოს.

იმ მშრომელებს, რომლებიც საკარმიდამო ვენახებიდან სახელმწიფოს 10 ტონაზე მეტ ყურძენს მიჰყიდიან, ურიგდებ მიეყიდებათ 40 ავტომანქანა „�gulo", — 50 მოტოციკლი, 15 კომპლექტი იმპორტული ავეჯი.

მოწინავე საზოგადოებრივი მეურნეობები, სასოფლო საბჭოები, განყოფილებები, ბრიგადები და მათი ხელმძღვანელები დაჯილდოვდებიან პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის სპპატიო სიგელით, დიპლომით, შეტანილ იქნებიან რაიონის სპპატიო წიგნში.

საზოგადოებრივ მეურნეობათა მევენახეები, რომლებიც ოთხეულ ჰექტარზე ყურძნის ჯელაზე მეტ მოსავალს მოიწევენ და ადრე უდანაკარგოდ დაამთავრებენ რთველს, დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიებით. ეს ეხება ასევე ტრაქტორისტებს, მატარებლის საგზაო ბრიგადის კავშირის სხვადასხვა ქალაქებში სამოგზაურო და გაგზავნებიან ქ. მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

რა თქმა უნდა, ეს წამახალისებელი ღონისძიებები არასრულია, რადგან მოწინავე მევენახეებისათვის საზოგადოებრივ მეურნეობებს თვითონაც აქვთ დაწესებული შრომის დამატებითი ანაზღაურება, წამახალისებელი ჯილდოები.

რთველში 600-ზე მეტი ხუთვირთი ავტომანქანა მუშაობს, აქედან 500 ყურძნის ვენახიდან მარნებში გადატანაზეა დასაქმებული, 100 კი ყურძნის მკრეფავთა გადაყვანაზე.

ყოველდღე 10.000 კაცი კრეფს ყურძენს. ცხადია ეს დიდი ძალაა და დღეში 4-6 ათას ტონა ყურძენს ვკრეფთ. ეს გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ თუ ამინდი არ გაუარესდება, რთველს 10-15 სამუშაო დღეში დავამთავრებთ და სიტყვას საქმედ ვაქცევთ, სამშობლოს მარნებში 100-110 ათას ტონა მაღალხარისხოვან ყურძენს მივიტანთ და 6.428.000 დეკალიტრ სამარკო, შემაგრებულ და ორდინარულ ღვინოებს დავაყენებთ.

შარშან ჩვენ გურჯაანის რაიონის ისტორიაში რეკორდული მოსავალი — 81.000 ტონა ყურძენი მივიღეთ. როგორც ვხედავთ, წლეულს უფრო დიდი ზღუდეებს ალებას ვაპირებთ. რაიონის მშრომელებმა კარგად იციან, რომ ჩვენივე რეკორდის გაუმჯობესება რაიონის სახელისა და დიდების საქმეა, რესპუბლიკაში 512 ათასი ტონა ყურძნის დამზადებისათვის გაჩაღებული შრომისა და ბრძოლის დიდი პირობაა. ამიტომ ყველა მშრომელი ერთგვარი სიამაყის გრძნობით მუშაობს ვენახებში, რომ გურჯაანული ზვრების სადიდებელი უფრო შორს გასმოდეს.

დღევანდელი **სარეკორდო მოსავლისათვის** რომ ვზრუნავთ, მომავალზეც ვფიქრობთ, რაიონი არც თუ ისე განებივრებულია ახალი ზვრების გასაშენებელი მიწებით. ამიტომ ჩვენ ჯულდასმით ვეძებთ და ვზრუნავთ მცირე მიწების სიუხვის სამსახურში ჩაყენებისათვის და ვფიქრობთ, **რომ ზვრების ფართობების გადიდებითა და ყოველ ჰექტარზე მაქსიმალური მოსავლის მიღებით 1982 წლისათვის სახელმწიფოს 200.000 ტონა ყურძენი მივყიდოთ.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რესპუბლიკის მთავრობა სისტემატურად არიან დაინტერესებული წლეულდელი რთველით. ჩვენთან ხშირად ჩამოდიან ხელმძღვანელები, მიდიან ზვრებში, ესაუბრებიან მშრომელებს, გვესაუბრებიან ტელეფონით, აინტერესებთ როგორ მიმდინარეობს რთველი, ხომ არაფერი გვიჭირს. მე ვახსენებ, რომ რთველი შეუფერხებლად მიდის. ბოლო დღეებში ქარმა ყურძნის გაშრობის საშიშროების წინაშე დაგვაყენა, მაგრამ ახლა ქარი ჩაგდა. ეჭირთ მშრომელთა მომარაგება რთველის დროს, გაძნელდა, რადგან სტუმართა რიცხვმა რაიონში ერთობ იმატა, მაგრამ ეს სიძნელეც რესპუბლიკის ხელმძღვანელთა დახმარებით გამოსწორებულია.

იმედი გვაქვს, კარგი ამინდის დროს, შემჭიდროებულ ვადებში უდანაკარგოდ დავამთავროთ რთველი და პარტიისათვის, საბჭოთა სამშობლოსათვის მიცემული სიტყვა უთუოდ შევასრულოთ.

ქუდზე კაცი...

მ. მექვეზრიშვილი,

ველისციხის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

რაიონის მევენახეთა სოციალისტური შეჯიბრება მთელი ძალით გაჩაღდა. ახლა არ მეგულება სოფელში კაცი უქმად იყოს. ან კი რა გული გაუძღების, ვინ ამპოლელთა მაგალითისამებრ მთელი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება გურჯაანის რაიონის მევენახეებსა და ღვინის მრეწველობის მუშაკებს შორის.

გურჯაანელები მსურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას, რომელიც მან ბაქოსათვის ღვინის ორდენის გადაცემის დროს წარმოთქვა.

რაიონის მევენახეებმა და ღვინის მრეწველობის მუშაკებმა კარგად ვიცი და ყურძნის უდანაკარგოდ დაბინავებისათვის ამ დიდ არმიას ჰყავს თავისი ავანგარდი — 3.650 კომუნისტი. აქვე არიან გამოცდილი მევენახეები, რომლებიც ბუნების სტიქიურ მოვლენებს მთელი წლის მანძილზე ინერგიული შრომით, საზრიანობით იგერიებდნენ.

...და აბა, დიდი რთველის პირველი ნახევარი განვლილია, მეათე ხუთწლედის მესამე წლის რთველი მძღე ნაბიჯებით დადის გურჯაანელთა ზვრებში და ქარვისა და გიშრისფერი ყურძნით დატვირთული მანქანების კოლონები უწყვეტ ნაკადად მიედინებიან ხახელმწიფოს მარნებისაკენ. იკრიბება „რქაწითელი", „საფერავი", „მწვანე" და სხვა ჯიშის ყურძენი.

ამ ბოლო წლებში მტკიცედ დამკვიდრდა აზრი: თუ გურჯაანელები გეგმა-დავალებას შეასრულებენ, კახეთის რაიონები და მოლიანად საქართველო პირნათლად გამოვა ქვეყნის წინაშეო. ახე რომ გურჯაანის რაიონის ის ფორპოსტია, სადაც წყდება 512 ათასი ტონა ყურძნის დამზადების ბედი.

ქალაქ გურჯაანის თავზე, გორაკიდან ალაზნის ზვრებიან ველს ამაყად ადამაყურებს „ჯარისკაცის მამა", რომელიც ხუთიათასი შინმოუსვლელის სახელით, რომლებიც ამ დიდ, რეკორდულ რთველს ვერ მოესწრნენ, მოუწოდებს მეზვრეებს შრომის ფრონტზე გამარჯვებისათვის. შრომის ფრონტზე. უჩვეულო რიტმია სოფელ შრომიდან დაწყებული კარდანახამდე თუ კაპრეთამდე! ზვრებში მღერიან — „გუშინ შიდები გურჯაანეონო, ხანდიროდ წასულიყვნენ, იქ მოგალათ თეთრი ტახი, ხორცი მოემზადებინთ..." დიახ, ამ ჯეზრებული რთველის დროს გურჯაანელებს არც ხორცისა და სხვა პროდუქტების წარმოება და დამზადება გამორჩენიათ. ფეიერფრის თავიანი ადგილი აქვს მიჩენილი. მთავარი კი დღეს მაინც რთველია!

რთველის ორგანიზებულ მიმდინარეობასა და ყურძნის უდანაკარგოდ დაბინავებას-გადამუშავების შესახებ ამ გზაზეზე „კომუნისტის" მკითხველებს შორის გურჯაანელი მუშაობს.

ვენახების სადიდებლად

შ. ეცადაშვილი,

საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი.

გურჯაანის რაიონის მშრომელები მეათე ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა „შესასრულებლად ენერგიულად, მიზანდასახულად შრომობენ და ამით სპპატიო წელი შეაქვთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში. 512 ათასი ტონა ყურძნისათვის ლაშქრობაში ჩვენი რაიონის მევენახეებს დიდი მოჯენები აქვთ ასალები. ეს კარგად იციან მევენახეებმა და მთელი წლის მანძილზე — დარსა თუ ავდარში ზვრებს გულმოდგინედ, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების მიხედვით უვლიან.

პარტიულ-პოლიტიკური ორგანიზატორული მუშაობის მეთოდების გაუმჯობესებით, რაიონის 162 პირველად პარტიულ ორგანიზაციაში გაერთიანებული 3.650 კომუნისტის ავანგარდული შრომის შედეგად მთელი წლის განმავლობაში ყველაფერი ისე კეთდებოდა, რომ წლევანდელი რთველი გულუხვი, სარეკორდო ყოფილიყო.

ამას წინათ გურჯაანელი მევენახეები და ღვინის მრეწველობის მუშაკები ვინიციის ოლქის იამპოლის რაიონის მეჭარხლეთა მაგალითით ერთხმად ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრეს რთველი შემჭიდროებულ ვადებში დამთავრონ და მაღალხარისხოვანი ყურძნისაგან სანაქებო ქართული ღვინოები დაალენონ. ეფიქრობთ, მეზვრეთა და მემარნეთა თანამეგობრობა დიდ ნაყოფს გამოიღებს.

პარტიის გურჯაანის რაიკომმა და სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა რთველის ორგანიზებულად, შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ დამთავრებისათვის მთელი რიგი წამახალისებელი ღონისძიებები შეიმუშავეს, მოწინავე საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის, განყოფილებების, ბრიგადებისა და მევენახეებისათვის დაწესებულია გარდამავალი დროშები და ვიმპელები, სპპატიო სიგელები, ფულადი ჯილდოები. გარდა ამისა, იმ სოფელში, რომელიც საზოგადოებრივი მეურნეობიდან და საკარმიდამო ვენახებიდან 10.000 ტონაზე მეტ ყურძენს დაამზადებს, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის სახსრებითა და საშუალებებით სოფლის ერთი კილომეტრის ქუჩა მოასფალტდება, შესრულდება სხვა კეთილმოწყობის სამუშაოები, ხოლო საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები, პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები, პროფკავშირის აღგილკომის თავმჯდომარეები, სპეციალისტები, განყოფილებათა გამგეები, ბრიგადირები, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეები თითო თვის ხელფასით დაჯილდოვდებიან.

სოფლის კეთილმოწყობის სხვადასხვა სახისა და ზომის წამახალისებელი ღონისძიებებია დაწესებული იმ საზოგადოებრივი მეურნეობისა და სოფლებისათვის, რომლებიც 6-დან 10 ათას ტონამდე, 3-დან 5 ათას ტონამდე, 1 ათასიდან 3 ათას ტონამდე ყურძენს მიჰყიდიან სახელმწიფოს.

ამ მშრომელებს, რომლებიც საკარმიდამო ვენახებიდან სახელმწიფოს 10 ტონაზე მეტ ყურძენს მიჰყიდიან, ურიგდ მიეყიდებათ 40 ავტომანქანა „ კიგული", — 50 მოტოციკლი, 15 კომპლექტი იმპორტული ავეჯი.

მოწინავე საზოგადოებრივი მეურნეობები, სასოფლო საბჭოები, განყოფილებები, ბრიგადები და მათი ხელმძღვანელები დაჯილდოვდებიან პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის სპპატიო სიგელით, დიპლომით, შეტანილ იქნებიან რაიონის სპპატიო წიგნში.

საზოგადოებრივ მეურნეობათა მევენახეები, რომლებიც ოთხეულ ჰექტარზე ყურძნის ჯელაზე მეტ მოსავალს მოიწევენ და ადრე უდანაკარგოდ დაამთავრებენ რთველს, დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიებით. ეს ეხება ასევე ტრაქტორისტებს, მატარებლის საგზაო ბრიგადის კავშირის სხვადასხვა ქალაქებში სამოგზაუროდ და გაგზავნებიან ქ. მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

რა თქმა უნდა, ეს წამახალისებელი ღონისძიებები არასრულია, რადგან მოწინავე მევენახეებისათვის საზოგადოებრივ მეურნეობებს თვითონაც აქვთ დაწესებული შრომის დამატებითი ანაზღაურება, წამახალისებელი ჯილდოები.

რთველში 600-ზე მეტი ხუთვირთა ავტომანქანა მუშაობს, აქედან 500 ყურძნის ვენახიდან მარნებში გადატანაზეა დასაქმებული, 100 კი ყურძნის მკრეფავთა გადაყვანაზე.

ყოველდღე 10.000 კაცი კრეფს ყურძენს. ცხადია ეს დიდი ძალაა და დღეში 4-6 ათას ტონა ყურძენს ვკრეფთ. ეს გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ თუ ამინდი არ გაუარესდება, რთველს 10-15 სამუშაო დღეში დავამთავრებთ და სიტყვას საქმედ ვაქცევთ, სამშობლოს მარნებში 100-110 ათას ტონა მაღალხარისხოვან ყურძენს მივიტანთ და 6.428.000 დეკალიტრ სამარკო, შემაგრებულ და ორდინარულ ღვინოებს დავაყენებთ.

შარშან ჩვენ გურჯაანის რაიონის ისტორიაში რეკორდული **მოსავალი — 81.000 ტონა ყურძენი** მივიღეთ. როგორც ვხედავთ, **წლეულს უფრო** დიდი ზღუდეებს ალებას ვაპირებთ. **რაიონის მშრომელებმა** კარგად იციან, **რომ ჩვენივე** რეკორდის **გაუმჯობესება** რაიონის **სახელისა** და **დიდების** საქმეა, **რესპუბლიკაში** 512 ათასი ტონა **ყურძნის** დამზადებისათვის გაჩაღებული **შრომისა** და **ბრძოლის** დიდი **პირობაა. ამიტომ ყველა** მშრომელი ერთგვარი **სიამაყის** გრძნობით **მუშაობს** ვენახებში, **რომ** გურჯაანული **ზვრების** სადიდებელი **უფრო** შორს გასმოდეს.

დღევანდელი სარეკორდო მოსავლისათვის **რომ** ვზრუნავთ, **მომავალზეც** ვფიქრობთ, **რაიონი** არც თუ ისე **განებივრებულია** ახალი **ზვრების** გასაშენებელი **მიწებით.** ამიტომ **ჩვენ** ჯულდასმით ვეძებთ **და** ვზრუნავთ **მცირე** მიწების **სიუხვის** სამსახურში **ჩაყენებისათვის** **და** ვფიქრობთ, **რომ ზვრების ფართობების გადიდებითა და ყოველ ჰექტარზე მაქსიმალური მოსავლის** მიღებით **1982 წლისათვის** **სახელმწიფოს 200.000 ტონა ყურძენი** **მივყიდოთ.**

საქართველოს კომპარტიის **ცენტრალური** **კომიტეტი,** **საქართველოს** სსრ **უმაღლესი** **საბჭოს** **პრეზიდიუმი,** **რესპუბლიკის** **მთავრობა** **სისტემატურად** **არიან** **დაინტერესებული** **წლეულდელი** **რთველით.** **ჩვენთან** **ხშირად** **ჩამოდიან** **ხელმძღვანელები,** **მიდიან** **ზვრებში,** **ესაუბრებიან** **მშრომელებს,** **გვესაუბრებიან** **ტელეფონით,** **აინტერესებთ** **როგორ** **მიმდინარეობს** **რთველი,** **ხომ** **არაფერი** **გვიჭირს.** **მე** **ვახსენებ,** **რომ** **რთველი** **შეუფერხებლად** **მიდის.** **ბოლო** **დღეებში** **ქარმა** **ყურძნის** **გაშრობის** **საშიშროების** **წინაშე** **დაგვაყენა,** **მაგრამ** **ახლა** **ქარი** **ჩაგდგა.** **ეჭირთ** **მშრომელთა** **მომარაგება** **რთველის** **დროს,** **გაძნელდა,** **რადგან** **სტუმართა** **რიცხვმა** **რაიონში** **ერთობ** **იმატა,** **მაგრამ** **ეს** **სიძნელეც** **რესპუბლიკის** **ხელმძღვანელთა** **დახმარებით** **გამოსწორებულია.**

იმედი **გვაქვს,** **კარგი** **ამინდის** **დროს,** **შემჭიდროებულ** **ვადებში** **უდანაკარგოდ** **დავამთავროთ** **რთველი** **და** **პარტიისათვის,** **საბჭოთა** **სამშობლოსათვის** **მიცემული** **სიტყვა** **უთუოდ** **შევასრულოთ.**

ვაზისუბნელები

რ. მლებრიშვილი,

ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ჩვენმა კოლმეურნე მევენახეებმა მიზნად დასახეს სოფლის სახელი გაამართლონ და იმდენი ზვრები გაშენონ, რომ მართლა ვაზის უბანი იყოს. ჯერჯერობით 1.115 ჰექტარი ვენახი გვაქვს, სრულმოსავლიანი 755 ჰექტარია. ჰექტარზე 81 ცენტნერი მოსავალი დავგეგმეთ. მაგრამ ეს არ გვაკმაყოფილებს, 100 ცენტნერზე მეტს მივიღებთ. **კოლმეურნეობა ხახელმწიფოს ნაცვლად 6.300 ტონისა 8.000 ტონა ყურძენს** **მიჰყიდის, ხოლო საკარმიდამო ვენახების პატრონები—2.200 ტონას,** ასე რომ პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მიერ დაწესებული **უმაღლესი ჯილდოს** მოპოვებისათვის (10.000 ტონაზე მეტი ყურძნის მიყიდვა) ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი ჩვენი სოფელიც არის.

ზვრის შემოქმედი და ყურძნის უხვი მოსავლის მომღები მეზვრეა. ვაზისუბნელებმა ეს კარგად იციან და არც გამოცდილებას, არც ენერგიას არ იშურებენ, რომ ქვეყნის, რაიონისა და **რესპუბლიკის წინაშე** პირნათლად გამოვიდნენ.

ივანდილ როსტიაშვილის, სულიკო სილაგაძის, ლამარა ჭირაქაშვილის, ნინო დრეიძის და სხვათა ბრიგადები კოლმეურნეობაში მოწინავენი არიან. ამ ბრიგადების მევენახეები ჰექტარზე 80 ცენტნერის ნაცვლად 110-120 ცენტნერ ყურძენს იღებენ, მერგოლურების ვალიკო სოლომონაშვილისა და ნოშრევან რევაზიშვილის მევენახეები — 140-130 ცენტნერს. ვაზს მთელ წელიწადს პატრონობენ, ზრუნავს არ აკლებენ თამარ დვალიშვილი, იზა ბურდულაძე, ანა ალადამეილი, გერონტი დავითაშვილი, გიორგი და ლევან დათუნაშვილები. ისინი ახლა, რთველშიც მოწინავენი არიან და უნდა იცოდეს მთელმა რესპუბლიკამ, რომ ასეთი მევენახეებით არის ძლიერი ჩვენი კოლმეურნეობა.

რთველი საზეიმო შრომის განწყობაზე აყენებს ადამიანს, მაგრამ მომავალზეც აქედანვე უნდა ვიზრუნოთ. ეი ამ ვენახებში ბეტონის ბოძებს ხშირად ეცვლით. ბევრჯერ ვაგონიდანვე ნახევრად დამტვრეულ ბოძებს ვიღებთ. წლები მიდის, მდგომარეობა ამ მხრივ არ იცვლება. ნუთუ არ უნდა მოვეკიდეთ მაღალხარისხოვანი ბოძების წარმოების საქმე?

ერთი საჭირო საკითხიც: ზემო ალაზნის სარწყავი არხით წელს ასობით ჰექტარი ვენახი უნდა მოგეირწყა, მაგრამ ისე უგერგილოდ არის გაყვანილი არხი, რომ წყალი ვერ მივიღეთ და მხოლოდ ვენახების ნაწილი მოვირწყეთ. 800 ჰექტარი კი სარწყავად ჩაგვითვალეს. ამ გვალვაში განა ეს საპატიოა? ესეც რომ არ იყოს, ქვეკი არხი რომ კარგად შეგვიკეთებინა და იქიდან წყალი სატუმბავით აგვეყვანა, ეს უფრო უკეთესი იქნებოდა და რწყვა იაფიც დაჯდებოდა. იქნებ ახლა მაინც იფიქრონ ზემდგომმა სამეურნეო ორგანოებმა?

ვაზის ჭირიმე, ვაზისა...

მ. იაშვილი,

ბაკურციხის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

მეორე წელიწადია ბაკურციხის საბჭოთა მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომელიც ერთ-ერთი უძველესია საქართველოში, ვაფრთიანდა. ამით დიდი საქმე გაკეთდა. ჩვენ 250 ჰექტარი ვენახი გვაქვს, აქედან 130 ჰექტარი სრულმოსავლიანია. წინათ ტექნიკუმის მოსწავლეები პრაქტიკულ მეცადინეობაზე სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებში მიგვყავდა, ახლა ეს აღარ გვჭირდება, ჩვენსაკე მეურნეობაში გადიან პრაქტიკას. ახალგაზრდებს ვუნერგავთ შრომის ჩვეულებას, ვაყვარებთ ჩვენს ეროვნულ კულტურას — ვაზს.

ვაზის სიყვარულს კი ჩვენი სოფლის გამოცდილი მევენახეებიდან სწავლობენ მოსწავლეები. როგორც ალენიშნე, ვენახები დიდ ფართობზე არ გვაქვს გაშენებული, მაგრამ მოვლა-პატრონობამ, ვაზისადმი შეილვიანი სიყვარულმა სათქმელი თქვა. **400 მკრეფავმა 10 სამუშაო დღეში ნაცვლად 1.000 ტონისა 2.000 ტონა ყურძენი მივყიდეთ სახელმწიფოს. ჰექტარზე ნაცვლად 80 ცენტნერისა 158 ცენტნერი მივიღეთ.**

გარდა ამისა წლეულს 80 მილიონი ვაზის ნერგი გამოვიყვანეთ. მეურნეობამ შარშან 207.000 მანეთი მოგება მიიღო, წლეულს კი 400.000 მანეთი იქნება. ამან საშუალება მოგვცა სოფელი მთლიანად დაგვეკმაყოფილებინა სასმელი წყლით. წყალგაყვანილობაზე 180 ათასი მანეთი დავხარჯეთ, ვამენებთ კულტურის სახლს, მიმდინარეობს სოფლის კეთილმოწყობა.

ჩვენი მთავარი საზრუნავი, ვაზთან ერთად, ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებაა, შრომისადმი სიყვარულის ჩანერგვაა. ამ საქმეს კარგად უძღვება პედაგოგიური კოლექტივი, რომელიც 69 მასწავლებელს ითვლის. ისინი 1.218 მოსწავლეს ზრდიან მებაღეობ-მევენახეობის, აგრონომიულ, საბუღალტრო აღრიცხვისა და დაგეგმვის ფაკულტეტებზე. ეს ჩვენი მომავალი საშუალო რგოლის სპეციალისტები არიან და დიდ იმედსაც გვაძლევენ.

კარდანახის წარაფები

ნ. ღლიღვაშვილი,

კარდანახის მეურნეობის დირექტორი.

ჩვენს მეურნეობას, სოფელს თავისმა საქვეყნოდ აღიარებულმა ზვრებმა და ღვინოებმა გაუთქვეს სახელი, აკი ამიტომაც ფერიან — ღვინოვ, ალბურო, კარდანახულოო. სოფლის სიმდიდრე ვენახებია. ამიტომაც 766 ჰექტარ ზვრებს ჩვენებური მევენახეები თვალის ჩინივით უფრთხილდებიან. 610 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახებიდან ჰექტარზე გეგმით 60 ცენტნერი უნდა მივიღოთ, ფაქტიურად 70 ცენტნერამდე იქნება.

რთველი მალე დამთავრდება. **გეგმით 3.640 ტონა ყურძენი უნდა მივყიდოთ სახელმწიფოს. ფაქტიურად 4.000 ტონამდე იქნება. უკვე დამზადებული გვაქვს 3.199 ტონა.**

კარდანახის მეურნეობას წინათ ჰექტარზე 58 ცენტნერზე მეტი ყურძენი არ მიუღია. შარშან 63 ცენტნერი მივიღეთ და წლეულს ჩვენსავე რეკორდს ჩვენივე გავაუმჯობესებთ.

შოველი ღოლენჯაშვილის, ტარიელ ღვიალაძის, სანდრო ტეტელოშვილის ბრიგადები ჰექტარზე 110-115 ცენტნერ ყურძენს იღებენ.

ყურძნის დროული კრეფა მოსავლის გადიდების ერთ-ერთი სამუალებაა. ამიტომაც ჩვენ ჯამახალისებელი ჯილდოები დავაწესეთ, რომ რთველი დროზე, უდანაკარგოდ დავამთავროთ. თინა შველაძე, ეკატერინა ღოლენჯაშვილი, [illegible] 900 [illegible] ეფს და დიდძალ ანაზღაურებას [illegible] კარგად ეუნაზღაურებთ ამ ვაჟკაცურ ლებსაც, [illegible] ბულებაც ღღეში 25-30 [illegible] ასეთები არიან [illegible] ალენიშნავ [illegible] ბულ, გუგული ტაბასაძელაშვილი და ბევრი სხვა.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჩვენ მკრეფავ მუშებს, სადილს, რომელსაც რაიონის კვების კომბინატი გვიგზავნის, უფასოდ ვაძლევთ.

კარდანახელთა გადაწყვეტილებაა მეურნეობისა და საკარმიდამო ზვრებიდან 8.000 ტონა ყურძენი მივიტანოთ სახელმწიფოს მარანში. ეს დაპირება მალე შესრულდება.

სიძნელეებთან ჭიდილში

შ. ბერიკელაშვილი,

გურჯაანის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების უფროსი.

თანდათან ძლიერდება რთველი, თანდათან მატულობს გურჯაანის ზვრების ბარაქა. 100-110 ათას ტონა ყურძნის დამზადება იკისრეს გურჯაანელებმა თავიანთი ვენახებიდან, რომელსაც კახეთის ზვრების თვალს უწოდებენ.

ვიდრე ასეთ გულუხვ რთველს დავაყენებდით, მანამდე, როგორც აქ თქვეა, დიდი, ძმიმე შრომა და ბრძოლა გადახდებოდა ჩვენმა მევენახეებმა. ჩალაუბნის, მელაანის, არაშენდის, კაპრეთის ზვრებს კი დიდი სეტყვა დაატყდა თავს. ზოგან ალაზნის ველზეც დაისტეყვა ვენახები, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ჩვენს მევენახეებს გული არ გასტეხიათ სტიქიური მოვლენებისაგან და როგორც კარგი ეკონომიკ ისე მკურნალობენენ დასტეყვილ ზვრებს.

კაპრეთის ზონის სახოგადოებრივ მეურნეობათა ძლიერ დასტეყვილ ზვრებიდან მაინც ვიღებთ. მალალ მოსავალს. აპაური მევენახეები გეგმის შესრულებისათვის იბრძვიან, ასე იციან ვაზის სიყვარულმა, გარჯამ!

ჩვენს მერთველებზე, მათს საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე, მთელი რაიონი ზრუნავს. რაიკავშირის კვების საწარმოო კომბინატი, რომელსაც ო. ბერიკაშვილი ხელმძღვანელობს, კარგად ემსახურება მევენახეებს. ისინი მთელ წელიწადს სპეციალური თერმოსებით პირდაპირ ზვრებში უგზავნიდნენ კერძებს, მიჰქონდათ ტაბლეული, ნაყინი, ლიმონათი. ზოგი მეურნეობა (კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა და სხვ) მევენახეებს უფასოდ აძლევს სადილსა და სხვა საკვებს. დღეში 8.000 კაცის სადილი მზადდება. კომბინატის მუშაკებმა რთველის დროს უფრო გაუმჯობესესს მოქმობა. ეს კარგად მოქმედებს მერთველთა შრომაზე.

ერთი სიტყვით, ჩვენს მევენახეებს ყოველგვარი საშუალება აქვთ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის და ეჭვიც არ მეპარება, **რომ გავიმარჯვებთ!**

აგავსებ ლხინით!

ა. ქიტიაშვილი,

**„სამტრეს

60 წელი საბრძოლო მწყობრში

60 წელი შეუსრულდა „ლენინსკოე ზნამიას“ — საბჭოთა შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ უძველეს გაზეთს. მთელი ამ 60 წლის მანძილზე „ლენინსკოე ზნამია“ მგზნებარე პროპაგანდისტად, აგიტატორად და ჯარისკაცთა მასების კოლექტიურ ორგანიზატორად გამოდიოდა.

Ленинское знамя

